ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1446055

ნომერი: AR1245058

თარიღი : 18.08.2014

გაცემის თარიღი : 25.08.2014

გაცნობის თარიღი : 25.08.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროპოლიტენის სადგურ , "დიდუბე"-ს ქვედა გასასვლელთან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვანო ჭოლაძე პ/ნ 01008038577
- თბილისი რ.მარგიანის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახური გაეცნო თქვენს AR1245058 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.03.051.015) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების თაობაზე, ქალაქგეგმარებით დასკვნას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) და მცირედზე საზოგადოებრივი–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად,საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონას, მათ შორის კარკასი სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით.

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1), მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში _ ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს).

აქვე მოგახსენებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მდებარეობს მეტრო სადგური „დიდუბის“ ქვედა გასასვლელი ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს, რომელიც აქტიურად არის დატვირთული, სატრანსპორტო თვალსაზრისი, თამასთან მოცემული ტერიტორია წარმოადგენს, პერსპექტივაში ქალაქისთვის უმნიშვნელოვანეს მრავალფუნქციურ სატრანსპორტო კვანძის ტერიტორიას. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებლად მის განვითარებაზე მსჯელობა სამსახურს დაუშვებლად მიაჩნია.

აქვე გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი, ადგილმდებარეობით, ფართობის სიმცირისა და მასზე მოქმედი ფუნქციური ზონიდან გამომდინარე, წარმოდგენს შეუსაბამო უძრავ ობიექტს, შესაბამისად მისი სამშენებლოდ განვითარება, ამ შემთხვევაში დაშენება,ზრდის არსებული შეუსაბამობის ხარისხს და ზღუდავს ნაკვეთების ეფექტურ სამშენებლო გამოყენების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი: #01.13.03.051.015) სამშენებლოდ განვითარება, არქიტექტურის სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად არ მიაჩნია.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.